ბორჯომი

4 აგვისტო
ხუთშაბათი
2022 წელი
№31 (9241)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

2022 წლის 2 აგვისტოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავჯდომარე **დავით ზაალიშვილი.**

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბორჯომის მუნიციპლიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №36 დადგენილებაში.

აღინიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში გაიზარდა 3880 200 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრა 342 595 45 ათასი ლარით.

შეტანილ იქნა ცვლილებები გადასახადების ნაწილში და იგი გაიზარდა 4 მილიონ 008650 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადების წლიური გეგმა განისაზღვრა 41 მილიონ 297545 ლარით.

აღნიშნული თანხა გადანაწილდა მთელი რიგი ობიექტების აღდგენა-განახლებისთვის. მათ შორის, გარკვეული თანხა დაემატა მოსახლეობის ჯანდაცვის, გადაუდებელი ოპერაციების, მედიკამენტების შეძენის, ტრასპორტის სუბსიდიების, დასუფთავება-კეთილმოწყობის საჭიროებებს.

ამასთან, იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების შესახებ.

განხილულ საკითხების თაობაზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სოციალური პროგრამები გრძელდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, ივლისში 155 418 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 665 ბენეფიციარს გაუწია.

76 149 ლარი, 101 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. 97 მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად 18 550 ლარი გაიხარჯა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 30 პაციენტი 31 178 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა კატეგორიებმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

ბორჯომელი აბიტურიენტის წარმატება

ბორჯომის №3 საჯარო სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, აბიტურიენტმა **ანა ყიფიანმა,** ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მაქსიმალური, 60 ქულა მიიღო. როგორც თავად ამბობს, ამ შედეგის მისაღებად ბევრი შრომა დასჭირდა. მთავარი მიზანი კი 100%-იანი გრანტია.

ანა ყიფიანი გვიყვება, რომ სკოლაში სწავლა ოქროს მედალზე დაასრულა. მიღებული ქულით კმაყოფილია და საგამოცდო საგნების მომავალ შედეგებზეც დადებითი მოლოდინები აქვს.

- წელს გამოცდის ფორმატი შეიცვალა და არ ვიცოდი, რეალურად იქ რა დამხვდებოდა. არ გამჭირვებია დაწერა, ბევრად უფრო რთულ გამოცდას მოველოდი, თუმცა აბიტურიენტობის განმავლობაში ბევრი შრომა დამჭირდა, რომ ეს შედეგი მიმეღო. მესამე ვარიანტი შემხვდა. უნივერსიტეტების სიაში პირველი ჯავახიშვილის უნივერსიტეტი მაქვს მითითებული. სამართალზე ვაბარებ. მოლოდინები სხვა საგნებშიც კარგი მაქვს. მაქსიმალურს რამდენად ავიღებ, არ ვიცი, მაგრამ წესით, 90-ზე მაღალი უნდა ავიღო. იურისტობა მინდა, თუმცა რა განხრით, ჯერ არ გადამიწყვეტია.

ანას თქმით, აბიტურიენტობის პერიოდი ყველა მოსწავლისთვის რთულია და ბევრ მომზადებას მოითხოვს. სასურველი შედეგის მისაღებად კი საჭიროა საგამოცდო საგნებზე მოსამზადებლად დროის სწორი გადანაწილება.

აბიტურიენტობის პერიოდი ბევრად უფრო რთული წარმომედგინა. ვფიქრობ, რომ დროს თუ სწორად გადაანაწილებ, ყველაფერი ძალიან მარტივადაა შესაძლებელი. სტუდენტობაზე კი მეუბნებიან, უფრო რთულია, ვიდრე აბიტურიენტობა, მაგრამ არაუშავს, ამისთვისაც მზად ვარ. ჯერ ჩარიცხვაზე და გრანტზე ვფიქრობ და რომ მეცოდინება პასუხები, სამომავლო გეგმებსაც ამის მიხედვით დავალაგებ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, აბიტურიენტთა ნაშრომებისა და ქულების გამოქვეყნება დღეს, პირველ აგვისტოს, ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ოსური ენის შედეგებით დაიწყო. ორივე საგანში მაქსიმალური ქულა 60%-ია.

მონიკა ქანტურია.

ულოცავენ იუბილარს

დიდხანს — ქართული სიტყვის სადარაჯოზე

ბესიკ ამირანაშვილი,
სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

- მინდა, დიდი პატივისცემა გამოვხატო ბატონ **ვალერიან ლომიძისადმი,** მივულოცო მას 80 წლის იუბილე და ჯანმრთელობა ვუსურვო. იგი უკვე 53 წელია ჟურნალისტიკის სფეროს ემსახურება და მუდმივად ზრუნავს ბორჯომელებზე. ვისურვებდი, კიდევ დიდხანს მდგარიყოს საზოგადოებისთვის ქართული სიტყვის სადარაჯოზე. თქვენი ღვაწლი უდიდესია ქართულ ჟურნალისტიკაში.

თქვენი წვლილი განუზომელია

ოთარ არბოლიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

გაზეთ „ბორჯომის რედექტორს **ვალერიან ლომიძეს** ვულოცავ 80 წლის იუბილეს! თქვენი წვლილი განუზომელია კურორტ ბორჯომის განვითარების საქმეში. გმადლობთ თქვენი ობიექტური და სისტემატური ინფორმაციისთვის იმის შესახებ, თუ რა ხდება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, როგორ ცხოვრობენ ადამიანები და რას აკეთებს ხელისუფლება კურორტის განვითარებისთვის. 80 წელი უფრო მეტია, ვიდრე მყარი პერიოდი თანამედროვე ბეჭდური გამოცემისათვის. და მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენი გაზეთი უცვლელად დარჩა ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული და კომპეტენტური გამოცემა რაიონში. შეუძლებელია წარმოიდგინოთ ბორჯომის თანამედროვე საინფორმაციო სივრცე გაზეთ „ბორჯომის“ გარეშე. გაზეთი არ ღალატობს მთავარს - ის ყოველთვის რჩება მაღალი კულტურის, მორალის, ინტელექტუალური და სულიერი გამოცემის მატარებლად. რედაქციის ნიჭიერმა გუნდმა, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მოახერხა გაზეთისთვის მოეპოვებინა რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ინტელექტუალური პერიოდული გამოცემის რეპუტაცია. თქვენი მკითხველები გაზეთის გვერდებზე ყოველთვის პოულობენ ღრმა და მრავალფეროვან ინფორმაციას, რაც უდავოდ თქვენი დიდი დამსახურებაა. გისურვებთ კიდევ დიდხანს ემსახუროთ მშობლიურ ბორჯომს და ბორჯომელებს!

ბორჯომზე და ბორჯომელებზე უზომოდ შეყვარებული

დავით ზაალიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს, ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქეს ბატონ **ვალერიან ლომიძეს** დიდი სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით ვულოცავ 80 წლის იუბილეს.

ბატონი ვალერიანი ხუთ ათეულ წელზე მეტია დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით ემსახურება ჩვენი ქალაქის სავიზიტო გაზეთს და უზომოდ შეყვარებულია თავის საქმეზე.

მთელი გულით ვუსურვებ მას მხნეობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას. რაც მთავარია, ასეთი შემართებით გაეგრძელებინოს მოღვაწეობა და ცხოვრება!

ერთობლივი ქალისხმევით პრობლემის მოგვარება

სასტუმრო „ყვარლის ტბაზე“ UNHCR-ის წარმომადგენლები საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერიების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მერიების წარმომადგენლებმა პრაქტიკული რეკომენდაციები მიიღეს, თუ როგორ შეიძლება სერვისებისა და პრაქტიკის მორგება კონკრეტულ სიტუაციაზე, თავშესაფრის მაძიებელ ლტოლვილთა საჭიროებებზე. განხილული იქნა ლტოლვილთა ჩართულობისთვის სამართლებრივი თუ პრაქტიკული ბარიერების არსებობა, რომელთა მოგვარება შესაძლებელია ერთობლივი ძალისხმევით.

ჩემი ალჟვიანდა-უჟალაღი რედაქტორი

ბორჯომის რაიონული გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი ბატონი ვალერიან ლომიძე იუბილარია. დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. რედაქციაში მოღვაწეობის 53 წლის სტაჟი აქვს, აქედან 31 წელი რედაქტორია.

ბატონი ვალერიანის დღემდე მოტანილი ცხოვრება ღირსეულად განვლილი წლებია და ახლაც კი საოცარი ენერგიით სავსეა მომავალ სიძნელეებთან შესაბმელად.

ვალერიან ლომიძე 80 ხლისაა



ობლობაში გაიზარდა. მამა ომიდან დაჭრილ-დაინვალიდებული დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. ოთხი შვილის რჩენა დედას უჭირდა, მაგრამ პატარებმა თითქოს ერთმანეთს და დედას შეჰფიცეს, რომ ყველანაირად დაეხმარებოდნენ მას ოჯახის ფეხზე დადგომაში და ასეც მოიქცნენ. ბავშვობიდან ფიზიკურ შრომაში იყო ჩაბმული. სკოლის დამთავრების შემდეგ ბორჯომის შუშის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მერე სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა და სტუდენტი გახდა. მახსოვს ვალერიანის ნაამბობი: გორში ვსწავლობდი პედაგოგიურზე, ლექციების შემდეგ და შაბათ-კვირას ჯარგამოვლილ მეგობრებთან ერთად სატვირთო ვაგონების დასაცლელად მივეშურებოდი სადგურზე, რათა ცოტაოდენ ფული მეშოვაო. ასე, სულ სწავლა-მუშაობაში გაატარა 4-5 წელი.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ ჯერ აღმზრდელმასწავლებლად მუშაობდა ბორჯომის პროფსასწავლებელში, შემდეგ - ტურისტულ ბიუროს ედგა სათავეში. ტურისტებთან ერთად ლაშქრობებში ფეხით შემოიარა მთელი საქართველო, ერთხანს ვარძიის ტურბაზაშიც იმუშავა. მშობლიური მხარის გაცნობასთან ერთად იზრდებოდა და მტკიცდებოდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა.

რაიონული გაზეთის რედაქციაში ფოტორეპორტიორად მიიღეს. სურათების გადაღებასთან ერთად კორექტორიც იყო. ხშირად უწევდა საგაზეთო წერილების წერაც. ჟურნალისტის პროფესიას, ხალხთან უშუალო ურთიერთობას ალღო აუღო და მალე მიიღო მეორადი უმაღლესი ჟურნალისტური განათლება. იყო რიგითი ჟურნალისტი, განყოფილების გამგე, მერე პარტიის რაიკომში დააწინაურეს. ერთი წლის შემდეგ ახლა უკვე რედაქტორის მოადგილედ დანიშნეს. მაშინ რა იცოდა ბატონმა ვალერიანმა, რომ რედაქციის მუშაობას ველარ მოწყდებოდა და ვერც შეელეოდა.

53 წელზე მეტია, რედაქციაში მუშაობს, აქედან 31 წელი რედაქტორია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და შევარდნაძის უგუნური ბრძანებით სტამბა და რედაქცია ერთმანეთისგან გათიშეს, რედაქციები დამოუკიდებელ ორგანიზაციებად დარჩნენ და ყველას დაავიწყდა, რომ რაიონული გაზეთი სამეურნეო ანგარიშზე ვერ იარსებებდა. ახლად დანიშნულ რედაქტორს და მთელ კოლექტივს ჯოჯოხეთურ პირობებში მოუწია მუშაობა. რედაქცია და სტამბა ერთ შენობაში მდებარეობდა. რედაქცია მაღლა იყო, სტამბა - პირველ სართულზე. აბსურდული მიზეზით სტამბამ უარი უთხრა გაზეთის ბეჭდვაზე. რედაქტორი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. გაზეთს ერთი-ორი წელი ხან ხაშურში ვბეჭდავდით, ხან - ქარელში. სხვა რედაქტორის ხელში ჩვენი რაიონული გაზეთიც დაიხურებოდა, როგორც უმრავლესი გაზეთი დაიხურა მთელ რესპუბლიკაში, მაგრამ ამ სიძნელის ჟამს გამოჩნდა ჩვენი რედაქტორის უტეხი ნება და მიზანსწრაფულობა. მან მიზნად დაისახა საკუთარი სტამბის შექმნა. მაგრამ როგორ? გაზეთი იბეჭდებოდა უზარმაზარ, რამდენიმეტონიან საბეჭდ მანქანაზე. ბატონმა ვალიკომ თბილისში როგორღაც იშოვა ეს საბეჭდი დანადგარები და ბორჯომში ჩამოიტანა. დიდი წვალებით მეორე სართულზე ავიტანეთ და დავამონტაჟეთ.

მანამდე 5-6 მეტრის რელსები სადღაც იშოვა და ისინი სტამბის ოთახში დაამაგრა შენობის საყრდენ კედელზე. უამისოდ საბეჭდი მანქანა თავისი სიმძიმით პირველი სართულის ჭერს ჩამოანგრევდა. შემდეგ ამწეკრანით ეს დაზგაც შემოვიტანეთ და რელსებზე დავდგით. მახსოვს, მაშინ როგორ ღრმად ამოვისუნთქეთ და ათიოდე თანამშრომელმა ტაში დავცხეთ.

კვლავ იყო დიდი სიძნელეები, მაგრამ ვალერიანის ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ელური მაინც გაგვქონდა. შემდეგ კომპიუტერი შემოიჭრა ჩვენს ყოფაში და ის უზარმაზარი საბეჭდი მანქანა დასაჭრელი გაგვიხდა. სპონსორების წყალობით ვარსებობდით. სპონსორებსაც რედაქტორის ავტორიტეტით ვპოულობდით. გაზეთი „ბორჯომი“ სიცოცხლეს აგრძელებდა.

ბოლო წლებია, რაიონის ხელმძღვანელობა ფინანსურად გვეხმარება. უამისოდ გაზეთი დაიხურებოდა. ამაში კი ლომის წილი ისევ ჩვენს რედაქტორს ვალიკო ლომიძეს მიუძღვის.

10-კაციანი კოლექტივი ერთ მუშტად შეგვკრა. ჩვენი გაზეთი შინაარსით რესპუბლიკური თუ სამხარეო გაზეთების გამოჩენილ ჟურნალისტებსაც მოწონთ. ეს მომთხოვნი რედაქტორის „ბრალიცაა“. იგი მკაცრიცაა და არცაა მკაცრი. ზოგჯერ ლუარსაბიევით და მისი მოურავივით „ყმებს“ რომ „დაგვერევა“, მაშინ ვალერიანს არჩილ მეფის „შოთა რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებიდან“ სტრიქონს შევაგებებ ხოლმე: „ყმები ყველა გაგეცლებით, გაგვიხდები შენ მარტო რას?“ გაეღიმება და ჩაცხრება. პირში ქება არ უყვარს, ცალ-ცალკე კი სხვასთან ყველას აქებს, ყველას ნანერი მოწონს, მაგრამ უფრო მეტს გვთხოვს. საამაყოდ აქვს: „ამდენი ხნის რედაქტორი ვარ და ჯერ ვინმე სამსახურიდან არ დამითხოვიაო“. ღირებულ მასალას ყოველთვის გზას უკვალავს გაზეთში. მახსოვს, თითქმის მთელი ღამე გავათენე (მუზა მომივიდა(!) და ლექსი „ვედრება უფლისადმი“ თავისი კომენტარით დავწერე (ეს ლექსი ქართველთა გამრავლება-გადარჩენას ეხებოდა). მეორე დილით რედაქტორს მივუტანე. პირში არ შემაქო, მაგრამ ლექსი მოეწონა, მეოთხე გვერდი გავსებული იყო, მაინც დაშალა და ის ლექსი ჩასვა თავისი კომენტარით. (ეს ლექსი თავისი კომენტარით „საქართველოს რესპუბლიკამაც“ დამიბეჭდა უჩა გოგოლაურის ფსევდონიმით.)

სხვათა შორის, გაზეთი „ბორჯომი“ ერთადერთია სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის ყოველგვარი შეფერხების გარეშე. შარშან გაზეთის დაარსების 90 წლისთავი ვიდღესასწაულეთ. ბატონი ვალერიანი მარტო რედაქტორი როდია. ის ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების სული და გულია. ყველა ღონისძიებაზე მას ეძახიან, სიტყვაში გამოსვლას სთხოვენ. თავის წონად სიტყვას ყველგან ამბობს. არის ბრწყინვალე თამადა. ქალაქში რაიმე ლხინი თუ ქელეხი მისი თამადობის გარეშე თითქმის არ ტარდება. ვერავის ეუბნება უარს. რამდენიმე ათეული წელია დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე იყო, რესპუბლიკის მასშტაბით - ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარეა. ათეული წელი ხელმძღვანელობდა „ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზს“ გამგეობას, ახლა ახალი ორგანიზაცია „ბორჯომელები“ შექმნა. რაიონის ხელმძღვანელობას ეხმარება პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, აყენებს ნოვატორულ წინადადებებს, მის სიტყვას არც კრიტიკა აკლია გაზეთის ფურცლებიდან თუ სხვადასხვა შეხვედრებიდან.

ქალაქის განაპირას ცხოვრობს. კილომეტრნახევარს სულ ფეხით დადის რედაქციამდე. ეზოში ფიზიკურ მუშაობას ეწევა, შრომისმოყვარეობით ყველას აოცებს. თავის წვა-დაგვით შენარჩუნებულ გაზეთს ვერ შეელია, თორემ სხვა გზა რომ აერჩია, თავისი გაქანებით და ნიჭით რესპუბლიკის მასშტაბით კარგი ბიზნესმენი დადგებოდა, ან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. შექმნა დიდებული ოჯახი თანაკურსელ ლია ბიბილაშვილთან ერთად. მისი ორივე ქალიშვილი დაოჯახებულია და თბილისში ცხოვრობენ. შვილები, შვილიშვილები ხშირად სტუმრობენ ბორჯომში ბებო-პაპას. თან უამრავ სტუმარს მოიყოლებენ ხოლმე. აბა, ბორჯომში ყოფნა ვის არ უნდა! მასპინძელიც დიდებულად ხვდება თავისი „ჭურ-მარანით“, განთქმული თამადობით და მოლხენით...

რვა ათეული წელი დაკეცა. მაინც გასაოცარი ენერგიით სავსეა. არის ღირსების ორდენის კავალერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, სერგეი მესხის ჟურნალისტური პრემიის ლაურეატი, „ოქროს კალმის“ მფლობელი... იგი ბორჯომის ნამდვილი კოლორიტია. ვერც ბორჯომი ძლებს უმისოდ და ვერც იგი ძლებს უბორჯომოდ.

კვლავაც დღეგრძელობა-მზეგრძელობას ვუსურვებთ ჩვენს ენერგიადაუშრეტელ რედაქტორს. კალამი არ დაუანგებოდეს, სამშობლოს სიყარულის გრძნობით და მშობლიურ ქალაქზე ზრუნვით კვლავაც დიდხანს მისაბაძი ყოფილიყოს ყველასთვის!

უშანგი ჯანგირაშვილი,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილე- ვაჟაფშაველას ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 29.08

ჭეშმარიტი წინამძღოლი

სულითა და გულით ვულოცავთ ჭეშმარიტ ქართველს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს, ნაღდ ჟურნალისტს, ქალაქ ბორჯომის საპატიო მოქალაქესა და კოლორიტს **ვალერიან ლომიძეს** საიუბილეო თარიღს.

ბატონ ვალერიანს კარგად იცნობს რეგიონის (და არა მარტო რეგიონის) ინტელექტუალური საზოგადოება. იგი მრავალი ათეული წელია კალმითა და სამართლიანი სიტყვით ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მისი თიოეული ნარკვევი, პუბლიკაცია თუ სტატია ყოველთვის გამოირჩევა მაღალპროფესიული დონით, ყოველთვის უკავია პრინციპული პოზიცია და ობიექტურად აშუქებს პრობლემურ საკითხებს. ამიტომაცაა, რომ ბატონი ვალერიანის სიტყვას დიდი ძალა აქვს და მკითხველ საზოგადოებაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს.

გასული საუკუნის ყველაზე ძნელბედობის ჟამიდან მოყოლებული ერთი წუთითაც არ განელებულა მისი შემართება და დღეს გაზეთი „ბორჯომი“ რომ ყველაზე პოპულარულ, ყველაზე სტაბილური რაიონული გამოცემაა, ალბათ, მთელ რესპუბლიკაში, ეს მხოლოდ მისი პირადული თვისებების შედეგია!

ბატონი ვალერიანი საკუთარი შვილივით დაჰფოფინებს რაიონის ცოცხალ მატიანეს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მხოლოდ საქმის სიყვარულს, კოლექტივისადმი ერთგულებას შეუძლია შეგაძლებინოს ეს! იმ სირთულეების დაძლევა, რასაც თითოეული ნომრის გამოცემას ახლავს.

გლოცავთ და გვეიმედებით, ბატონო ვალერიან, ჩვენო უფროსო მეგობარო და ნაღდო ადამიანო. ღმერთმა ჯანმრთელობა და ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოს. შეგაძლებინოს კიდევ მრავალი და მრავალი წელი გეხელმძღვანელოს, გეთავკაცოს საამაყო გაზეთისათვის.

ოჯახურ სითბოს და სიყვარულს გისურვებ და გვწამს, მარადჟამს მაგალითის მიმცემი იქნები ყველასათვის, რადგან მხოლოდ ობიექტურ ჟურნალისტს ძალუძს მასებზე ზეგავლენის მოხდენა.

კეთილი სურვილებით ავთანდილ ბერიძე,
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი.

ულაღაფიდ ეწევა სარედაქციო საქმიანობას

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ოქროს კალმის და მრავალი საპატიო სიგელის მფლობელს, ნაღდ ბორჯომელს **ბატონ ვალერიან (ვალიკო) ლომიძეს** დაბადებიდან 80 წელი, ჟურნალისტური საქმიანობის 53 და გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორობის სახელოვანი 31 წელი შეუსრულდა. ყოველივე აღნიშნულს თუ დავამატებთ იმ მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობას და ორგანიზატორულ მუშაობას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს მრავალმხრივი ნიჭიერებით და აქტიურობით გამორჩეულ პიროვნებასთან. ბუნებით თავმდაბალს, არ უყვარს საკუთარ თავზე და მიღწევებზე საუბარი. სულიერად ძლიერი ყველაფერს უმკლავდება, უწყვეტად და უულაფოდ ეწევა სარედაქციო საქმიანობას. გახლავთ ახალგაზრდა თაობის დამრიგებელი და ჟურნალისტთა მცირე კოლექტივის ღირსეული მეთაური, შესანიშნავი პუბლიცისტური წერილების ავტორი. ყველგან გამორჩეული იმითაც ბრძანდება, რომ რაიონში არის უბადლო და სწორუპოვარი თამადა, საუკეთესო ოჯახის უფროსი, თავდადებული მეუღლე, მამა და ბაბუა. მისი თავკაცობა ჩანს ყველგან და ყველაფერში, ამიტომაცაა ჩვენ ვალიკო აღიარებული როგორც რაინდული თვისებების მატარებელი კაცი, რომელმაც ზედმიწევნით იცის ტოლ-სწორობის, უბრალოდ ადამიანობის ფასი, თვითონვე არის ყველაფერი ვაუკაცურის მოთავე და მონაწილე, მეგობრების თუ უცნობების მფარველი და გვერდში მდგომი. დიდი ბიოგრაფიის და ცხოვრების მქონე კაცის შესახებ სათქმელი ძალზე ბევრია, მაგრამ გამორჩეული და ფასდაუდებელია მისი როლი გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენის საქმეში. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჩამოიშალა კომუნისტური რეჟიმი, რედაქციის საგამომცემლო საქმიანობა გაუქმება-განადგურების წინაშე აღმოჩნდა. ბატონმა ვალიკომ გვერდში დაიყენა ჟურნალისტები და „რკინის ქალამნებით“ აღჭურვილმა შეძლო ჯართად ქცეული სტრიქონ-ამწყობი და საბეჭდი მანქანა კეთილი ადამიანების ხელშეწყობით ბორჯომში ჩამოეტანა, აღდგენილი სტამბის მუშაობით დაიწყო გაზეთის გამოშვება. დიდი ბრძოლის და რთული გზის მიუხედავად, რედაქტორისა და ჟურნალისტების თავდაუზოგავი შრომით, დღევანდელ დღემდე რაიონული გაზეთის გამოშვება სტაბილურად ხდება.

ჩვენო იუბილარო, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებულ საქმიანობას გისურვებ! შენ კვლავაც შეგწევს იმის ძალა და ენერგია, ერთგულად ემსახურო შენს რაიონს, რედაქციას და ათასობით მკითხველს.

თემურ ხუხუნაიშვილი,
„ოქროს კალმის“ მფლობელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.
გაზ. „ქვირის პალიტრა“ 1.08.

გარდასულ დღეთა მოგონებანი...

ვალერიან ლომიძე - ჩემი ძმა და მეგობარი, უშრეტი, მოზღვავებული ენერგიის, უზომოდ შრომისმოყვარე, ნებისყოფიანი, აქტიური, უბადლო მეხსიერების და დიდი მიზანსწრაფულობის პატრონი...

ჩვენს წლოვანებას შორის სხვაობა ზუსტად 10 წელი და ერთი კვირაა. ეწ. ასტროლოგიური პროგნოზით ორივე ლომები ვართ. საკმაოდ მებრძოლნი, ხელის ჩაქნევა რომ არ ვიცით, პირიქთ, ფერფლიდან კიდევ მეტი შემართებით შეგვიძლია წამოდგომა, თუმცა ბევრია განსხვავებული - საპირისპირო მხარეებიც გაგვაჩნია...

თითქმის 50-წლიანი ადამიანური ურთიერთობების ფონზე, გვაქვს ბევრი სამეგობრო და მცირე წინააღმდეგობრივი გასახსენებლები, რაც ჩვენი პროფესიული თუ სამსახურებრივი ვალდებულება-პასუხისმგებლობით, ჟურნალისტური თუ ისტორიული თვალთახედვითაა განპირობებული და შერწყმული მის აზრებთან, როგორც საგამომცემლო-საგაზეთო სტრუქტურის ხელმძღვანელთან...

შემდგომ წლებში ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას მყარ საძირკვლად ისიც დაედო, რომ მე - ეროვნულ საგანძურთა სავანეს და ვალერიანი გაზეთ „ბორჯომს“ ხელმძღვანელობდა...

მაქვს უამრავი-უთვალავი საგაზეთო წერილები ჩემს მიერ დაწერილი და მის გაზეთში გამოსაცემად გადაგზავნილი - ისტორიული, პროფესიული, საგანმანათლებლო, სამუზეუმო, სასულიერო, კულტურული და ა.შ. და ა.შ.

გვქონია დასამახსოვრებელი პაექრობაც და წლების განმავლობაში ურთიერთ-ბრძოლაც, თუმცა ჩვენდა გასახარად ის ზღვარს არ აროდეს გასცდენია, რამეთუ ჩვენს შორის არსებული ურთიერთობა - ყოველთვის ინტელექტის, ღირსებისა და შეგნების მაღალ სტანდარტებს იცავდა...

დღეს, სასიამოვნო გასახსენებელია XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, წლების განმავლობაში, მუზეუმსა და საზოგადოებრივი დარბაზის წარმომადგენლებს შორის პაექრობა, - ბატონ ვალერიანს, აწ გარდაცვლილ მიხეილ თვაურს და ლევან გოცირიძეს შორის...

პაექრობა და წინააღმდეგობა, - ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების თარიღთან დაკავშირებით...

წინააღმდეგობა და პაექრობა - ბორჯომის დაარსების 160 წლის იუბილესთან და ბორჯომის მინერალური წყლის აღმოჩენასთან დაკავშირებით...

ზემოთქმულის მიუხედავად, მეგობრობა იმარჯვებდა და გრძელდება დღესაც...

მის კალამს საინტერესო საგაზეთო წერილები აქვს დაწერილი დედაჩემზე, პაპაჩემზე, ჩემზე, ჩემს სამსახურებრივ, თუ საზოგადოებრივ საქმიანობაზე, რისთვისაც მთელი ცხოვრება მადლიერი და მადლობელი ვიქნები...

მეგობრობა, ნდობა და ურთიერთსიყვარული რომ ყოველთვის იმარჯვებდა ჩვენს ურთიერთობებში, ამის დასტურად ჩემი და ჩემი მეუღლის ერთ-ერთი მოსკოვური მგზავრობაც საკმარისია... ბატონმა ვალერიანმა თავისი მეგობრის ოჯახში გაგვგზავნა, სადაც მისადმი უზომო სითბო, სიყვარული, პატივისცემა, ადამიანური თუ სტუმარ-მასპინძლური ურთიერთობები ოჯახმა ჩვენზე გადმოიტანა...

ეს კი ვალერიანის დიდსულოვნებაზე, დიდგულოვნებაზე, დიდ კომუნიკაბელურობაზე, გულუხვობაზე მიანიშნებს.

... კულტურის სფეროში ჩემი მოღვაწეობის 30-წლიანი ისტორიიდან მოყოლებული, იშვიათად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბატონი ვალერიანი ჩემს მიერ ჩატარებული უამრავი ღონისძიებებიდან რომელიმეს არ დასწრებოდა და თავისი კრიტიკული თუ მოსაწონი სიტყვა არ წარმოეთქვა...

დღეს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში - რომანოვების ბორჯომთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები ინახება. ისინი ბატონ ვალერიან ლომიძის სანკ-პეტერბურგის არქივში მოთავსებულია მის მიერ დამყარებული ურთიერთობათა წყალობით გახდა შესაძლებელი და

მადლობა მას ამ დიდი ძალისხმევისა და ბორჯომის ამ დიდი სიყვარულისათვის...

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი და-ძმობა და მეგობრობა დღემდე გრძელდება.

იცოცხლე დიდხანს, ასე მხნედ და ასე ამაყად, ასე ცინცხალი ჭკუა-გონებით...

ვიოლეტა ბალასაშვილი

სიცოცხლე უნდა ქაღალდს ჰგავდეს!



მრავალჟამიერ!

ჩვენს ლეგენდა-რედაქტორს ვალერიან ლომიძეს ვულოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს - დაბადების 80 წლის იუბილეს! დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია დაიწყო და ჩვენი გაზეთიც ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა, - არც ფინანსები, არც სტამბა, - ყველაფერი მოგვისპეს. მხოლოდ უტეხი სულის და ნებისყოფის რედაქტორს შეეძლო გადაერჩინა გაზეთი და გადაარჩინა კიდეც რაიონის პირუთვნელი მემატიანე. გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენა იყო ნამდვილი სასწაული (ამ საქმეში მას მხარში ედგნენ ბატონები თემურ ხუხუნაიშვილი და აწ გარდაცვლილი გურამ ჭყონია).

30 წელია დანის პირზე ვაბიჯებთ და ეკლებიან გზაზე მოვდივართ, მაგრამ მაინც ვარსებობთ. თავისი სიმართლით, ობიექტურობით იმარჯვებს ჩვენი გაზეთი. ამაში ლომის წილი ჩვენს რედაქტორს მიუძღვის.

ამიტომაც განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით ვულოცავთ ჩვენს შეფს იუბილეს. კვლავ სიმხნევე, წელთა სიმრავლე და ყოველგვარი მიწიერი ბედნიერება გვისურვებია თავის დიდებულ ოჯახთან და მონაგართან ერთად!

მრავალჟამიერ! კვლავაც მხნედ და თქვენებური შემართებით გაგვიძეხი, ბერო მინდიავ!

გაზეთ „ბორჯომის“ თანამშრომლები.

ბაბუას აჩრდილი რედაქციაში

ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომლებიც დიდ კვალს ტოვებენ სამარადჟამოდ ჩვენს ყოველდღიურობაში. ჩემი აღზრდა და განათლება მთლიანად ბაბუას უკავშირდება. მისი მიზანი იყო ნაკითხი და სწავლისმოყვარული, ბეჯითი გავზრდილი და ამისთვის ყველაფერს აკეთებდა: განსაკუთრებით ცდილობდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებზე ესაუბრა, ისტორიულად გადამწყვეტ ბრძოლებზე მოეყოლა. ეს მისი ჰობიც კი იყო. ჩემი მოსმენით კმაყოფილი უსასრულოდ გააგრძელებდა ხოლმე საინტერესო დეტალებს დიდი ქართველი მწერლების ბიოგრაფიებიდან. სტუდენტი გავხდი და მისი ოცნებაც ახდა! ყველაზე ბედნიერი დადიოდა, გეგონებოდათ, სიხარულით მიწაზე ფეხს არ ადგამსო. ჩემით ცოცხლობდა და მზე და მთვარე ჩემზე ამოსდიოდა. მოუსვენარი კაცი იყო, უსაქმურად არც თვითონ გაჩერდებოდა და სხვასაც შრომისკენ მოუწოდებდა. ყველას უკვირდა მისი ენერგია და ყურადღება. ვინ უნდა დარჩენილიყო ნათესაობასა, თუ მეზობლობაში, რომ ბაბუას დახმარება არ აღმოეჩინა, პრობლემები არ გადაეწყვიტა. არ უჭირდა ურთიერთობა და სასიკეთო საქმეების მოგვარება ქალაქის თავკაცებთან, მჭიდრო კავშირში იყო მაღალი თანამდებობის პირებთან და მათგანაც დიდ პატივისცემას გრძნობდა. გარდაცვალების შემდეგ ბევრი იძახდა, რომ ასეთი კაცი მეორე არ დაიბადებაო! მე მასზე მეტი გულშემატკივარი არ მყოლია!

ალბათ, იკითხავს მკითხველი, სად ამ წერილის შინაარსი და სად ჩვენი გაზეთის რედაქტორიო?! რა შუაშია ბაბუაჩემი ჩემ ამჟამინდელ უფროსთან - ბატონ ვალერიან ლომიძესთან?! მე თავში მოგახსენეთ, რომ წარუშლელი კვალის დამტოვებელი ადამიანები არსებობენ და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბაბუა - ირაკლი ჭანტურია. როცა 11 წლის წინ, წერის სიყვარულმა რედაქციაში შემომახედა და დავიწყე აქ მუშაობა, თავიდანვე დავინახე ბაბუას პროტოტიპი. ერთი ერთში ჰგავდა ენერგიულობით, მჭექარე ხმით, სიკეთის კეთების სურვილით და უსაზღვროდ გასცემდა სწავლებას, რომ უკეთესი ყოფილიყავი. ადვილი სათქმელია, ან ვიღაცისთვის წარმოუდგენელიც, მაგრამ დღემდე ბაბუა-შვილიშვილის თბილ ურთიერთობას თუ შევადარებ ჩვენს ერთად მუშაობას. აზრებს ვუცვლით ერთმანეთს, ვგრძნობ, რომ უყვარს ჩემთან ბაასი საჭირბოროტო საკითხებზე. რაც მთავარია, ასაკისდამიუხედავად, ისევ ჩვენი გამომაფხიზლებელია და ძნელად თუ დაინახავთ დაღლილს. მუდამ აქეთ შემოგვიძახებს ხოლმე ახალგაზრდა თანამშრომლებს: თქვენი სტატიებით იქმნება თქვენი ავტორიტეტიო, წერეთ კრიტიკული წერილები, მე ვიქნები პასუხისმგებელიო, განაახლეთ, გამიახალგაზრდავეთ გაზეთი, რომ აქტუალურობა არ დაუკარგოთო. მას ჩვენი სჯერა! მისი სახით დიდ თანამდგომს ვხედავთ! ხშირად იმდენად დამრიგებლური და სასარგებლო მიმართულებებს გვაძლევს ჩვენივე პროფესიული გზის გაუმჯობესებისთვის, რომ მართლა მგონია ბაბუას აჩრდილი რედაქციაში მყავს. ალბათ, მეტწილად ორი მთავარი მიზეზი მაქვს, რატომაც ვერ ვწყდები გაზეთს: ერთი, რომ ძალიან გიყვარს საქმე, რომელსაც ვემსახურები და მეორე - სიყვარული და მოწიწება ადამიანისა, რომელიც ყოველდღიურად ბაბუას მონატრებას მივსებს. გილოცავთ დაბადების ოთხმოცდა წელს, ბატონო რედაქტორო!

მონიკა ჭანტურია

რედაქციის ალიონი და მცველი

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივი 2022წ.

სიბრძნით, გამოცდილებითა და ერთგულებით გამოვარჩევ ჩვენ რედაქტორს, რედაქციაზე დღე და ღამ მოფიქრალს. ბატონი **ვალერიან ლომიძე** რედაქციის ალიონი და მცველია. ისე არავინ იცავს ქართულ სამართლიან სიტყვას, როგორც ის. მუდმივად დგას იქ, სადაც უკეთეს მომავალს, მართალ კაცთა თქმული ესმის.

თავადაც დიდი შემართებით, მრავალგზაგანვლილი უყურებს ბორჯომს, ქვეყნის დარსა და ავდარს.

ჩვენს მოამაგეზე მეტად ვინ იცის, რამდენ ფიქრიან დღე-ღამეს გაუვლია, რომ გაზეთი „ბორჯომი“ 2022 წელსაც შეხვედროდა... წარმოუდგენელად რთული გზაა მხარდამხარ განვლილი გაზეთი „ბორჯომი“-სა და ბატონი ვალერიან ლომიძის მიერ. ღირსებით, მართალი სიტყვით, მრავლმხრივი ხედვით, ინტელექტუალური მაღალი სტანდარტებით ათეული წელია გაზეთს ყველასთვის მიმზიდველს ხდის და საუკუნოვან ისტორიას ქმნის.

უშრეტი ენერგიისა და „ოქროს კალმის“ მფლობელის მთავარი თხოვნაა, ჰყავდეს ასეთივე გუნდის წევრები.

გულწრფელი სიხარული მეუფლება, რომ მხვდა წილად ბედნიერება თქვენთან მუშაობის, რომ თქვენი 80 წლის დაბადების დღე თქვენთან ერთად უნდა აღვნიშნო, ჩვენ ერთად ვიზეიმეთ გაზეთ „ბორჯომის“ 90 წლის იუბილე. კიდევ მრავალი წელი სიხარულით და სიამაყის გრძნობით გეზრუნოთ ბორჯომზე, გაზეთზე და სამშობლოსათვის.

მე უკვე ვიცი, თუ უფალმა ინება, როგორი მინდა ვიყო 80 წლის ასაკში! გილოცავთ და კიდევ მრავალ ბრწყინვალე დაბადების დღეს გისურვებთ!

იზა იანვარაშვილი

კიდევ ერთხელ ჩვენი რედაქტორის შესახებ

ერთმანეთს გვანან ჩვენი გაზეთი და მისი რედაქტორი უპირველესად ალბათ იმით, რომ ორივენი უტეხი კლდესავით არიან - არც ერთი არ შეუშინდა და არც მომავალში შეუშინდება დროთა სვლას თუ სხვადასხვა ჭირ-ვარამს, რომლებიც მათი ცხოვრების, არსებობისა და მოღვაწეობის გზაზე შემოხვდათ.

წელს 80 წელი შეუსრულდა ბატონ ვალერიანს და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს სოლიდური თარიღი იუბილარისთვის დიდი ტვირთია, მწარედ ცდება. ყოველთვის მაინტერესებდა, თუ 80 წელს მიტანებული ადამიანი ასეთი ენერგიულია, მაშინ რა იქნებოდა ის ახალგაზრდობისას? როგორი ამოუწურავი შესაძლებლობები ექნებოდა მას, რომლებსაც წლებმა ვერაფერი დააკლო. არსებობს თუ არა რეცეპტი ასეთი სულიერი და ფიზიკური მხნეობისა?

არსებობენ ამქვეყნად ადამიანები! და ჩვენი რედაქტორიც ასეთია, რომლებიც ჩვენზე ორჯერ უფროსები არიან, მაგრამ მათ გვერდით ახალგაზრდულ უპირატესობას კი არ გრძნობ, არამედ უსუსურობას, უნიათობას და უცოდინარობას, ამავე დროს აღფრთოვანებისა და იმედის შეგრძნება გვიჩნდება - ესე იგი რამდენი რამ გვაქვს ჯერ კიდევ სასწავლი და მისაბაძი, სანამ გავუტოლდებით მათ, და, რაღა თქმა უნდა, ცხოვრებაში სწორება სწორედ ასეთებზე უნდა გვქონდეს - მშრომელ, პასუხისმგებლიან, სულიერად ძლიერ ადამიანებზე.

როდესაც სხვებს ჩემი რედაქტორის შესახებ ვუყვები, ყოველთვის ასე ვახასიათებ: ეს საბჭოთა პერიოდში გამობრძმედილი კაცია-თქო. ეს „საბჭოთა“ ამ ჩვენს დროში ბევრს ცუდად მოხვდება ყურში, მაგრამ ბატონი ვალერიანი ზუსტად მიხვდება, რასაც ვგულისხმობ. და ეს მთავარია. თვითონაც ხშირად მოუყოლია ჩვენთვის, როგორი სანმუშო სამუშაო დისციპლინის რეჟიმი ჰქონდათ ადრე, და ზუსტად ამ დისციპლინამ გააკაჟა და გამოაბრძმედა.

არსებობს ერთი ფილმი, რომელიც არ მაქვს ნანახი, მაგრამ მისი სახელწოდება სულ ჩვენს კოლექტივს მაგონებს - „ვალერიანი და ათასი პლანეტის ქალაქი“, ბატონი ვალერიანი და მის გარშემო ჩვენ პატარა პლანეტები ვართ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, შეფ, კიდევ დიდხანს, დიდხანს მესმოდეს თქვენი ომახიანი ხმა რედაქციიდან ლამის ბაკურიანამდე!

მუდამ თქვენი ყველაზე, ყველაზე ზარმაცი ჟურნალისტი **რუსუდან სხირტლაძე.**

ჩემთვის მისაბაძი პიროვნება

ჩემი ჟურნალისტიკისადმი სიყვარული ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყო. გუშინდელი დღესავით მახსოვს ის პირველი ემოცია, ჯერ კიდევ მერვე კლასში რომ ვიყავი, როგორ ფეხაკრეფით ავირბინე კოსტავას მოედანზე მდებარე გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კიბეები და გულისფანცქალით შევაღე გაზეთის რედაქტორის ბატონ **ვალერიან ლომიძის** კაბინეტის კარი. მაშინ გაზეთ „ბორჯომთან“ ერთად წლების მანძილზე გამოიცემოდა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ნამდვილად საჭირო და საინტერესო გაზეთი „ცისარტყელა“. რამდენი ჩემზე უმცროსი თუ თანატოლი დაფრთიანდა ამ გაზეთის ფურცლებზე და დღეს უკვე შემდგარი ჟურნალისტები არიან. მახსოვს კაბინეტში შესულს ღიმილით მომეგება, ვინაობა გამომკითხა და წერილიც დაიტოვა. უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი თავს, როდესაც გაზეთ „ცისარტყელას“ ფურცლებზე საკუთარი სახელი და გვარი ამოვიკითხე. ამ დღის შემდეგ დაიწყო ჩემი მოღვაწეობა ჟურნალისტის ყველაზე საინტერესო თავგადასავლებით, თუმცა უდიდესი პასუხიმგებლობით აღსავსე სამყაროში. უნივერსიტეტის დასრულების შემდგომაც ჩემი მომავალი ცხოვრება ისევ ბორჯომს და მშობლიურ გაზეთს დავუკავშირე და აგერ უკვე ოთხ წელიწადზე მეტია გაზეთ „ბორჯომის“ პატარა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვარ. სამსახურში მოსვლისას დილაც ჯერ რედაქტორის კაბინეტის კარზე დაკაკუნებით იწყება, საიდანაც ჩვეული, ენერგიული ხმით მოგვაგებებს მობრძანდითო. ხშირად გვიმეორებს, რომ ჟურნალისტის პროფესია ყველაზე დაუფასებელ პროფესიად ითვლებაო და მართალიცაა. ნამდვილად გმირობის ტოლფასია იმ ქალაქში გერქვას 90 წლის პერიოდული გამოცემის რედაქტორი, რომელიც მრავალი ჭირ-ვარამის მიუხედავად ისევ და ისევ „ხელისხელ საგოგმანებ“ გამოცემად ითვლება და მცირედი ფორმატისა, მაინც არ კარგავს აქტუალობას თავისი გამორჩეული, განსხვავებული თემატიკით. ამაში კი ლომის წილი საკუთარ საქმეზე, ქვეყანაზე და რაიონზე უზომოდ შეყვარებულ ჩვენი გაზეთის რედაქტორს ბატონ ვალერიანს მიუძღვის. ყოველ დილით ჩქარი ნაბიჯით მოემართება სამსახურისკენ. ნახევარ საუკუნეზე მეტია ახალშენდან ქალაქის ცენტრისაკენ უმეტესწილად ფეხით დადის. მიკითხავს კიდეც, ბატონო ვალერიან, კი მაგრამ, მანქანა რატომ არ იყოლიეთ-მეთქი? - მანქანა რად მინდოდა, როდესაც ისედაც ყველა მიცნობს და თანაც საჭირო დროს, საჭირო ადგილას არასდროს დამიგვიანიაო.

თუკი ახლა, ან თუნდაც წლების მერეც მკითხავენ, ვინ არის თქვენთვის მისაბაძი პიროვნებაო, აუცილებლად გიპასუხებთ, რომ - ბატონი ვალერიანი, რადგანაც ეს ადამიანი არის ჩემთვის გამძლეობის, ამტანობის, საუკეთესო და მისაბაძი ხელმძღვანელის, კოლეგისა და საერთოდ ნამდვილი ადამიანობის სიმბოლო. როდესაც მას უყურებ, ზუსტად ხვდები, რომ ასაკი მართლაც ციფრებია.

80 წლის იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვალერიან!! დღეთა სიმრავლესა და უფლის წყალობას გისურვებთ.

ნატო მელიქიძე

ერთი ადამიანი ორ ადამიანზე

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს, ლომიძეების გვარის წინამძღოლს, საპატრიარქოს გვარების დარბაზის წევრს, სამცხე-ჯავახეთის საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარეს, შესანიშნავი ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების პატრონს. ბრწყინვალე თამადას, რაიონის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პიროვნებას **ვალერიან ლომიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, რვა ათეული წლის ღირსეულად დაგვირგვინებას!

ჩვენ, ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის წევრებს კარგად გვახსოვს თქვენი თავმჯდომარეობით ერთად განვლილი თითქმის ათი წელი. როგორც ყოველთვის, მაშინაც შესაშური მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდით და რაიონის ხელმძღვანელების წინაშე აყენებდით მთელ რიგ გადასაჭრელ პრობლემატურ საკითხებს.

თქვენი გამორჩეული თვისებებია: მუდამ სიახლის ძიება, აქტიურობა, მოსახლეობის ფართო მასების დარაზმვა უკეთესი მომავლისაკენ.

გაზეთი „ბორჯომი“ ჩვენი მოსახლეობის საყვარელი გაზეთია, რისთვისაც დიდი მადლობა თქვენ თავდაუზოგავი შრომისათვის.

გისურვებთ კიდევ დიდხანს ასეთ შემართებას და გაუტეხლობას ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

დიდ ენერგიას - ატომურს -
ასხივებ, როგორც ურანი,
ხარ დიდი გვარის შვილი და
კარგი თამადა ხმოსანი.
მამულს მალამოდ ედება
ჭეშმარიტების შენი ხმა,
პირდაპირ გეტყვი, შენა ხარ
ერის ნანატრი კაი ყმა.

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე **ზაურ ლაზარაშვილი**

ვულოცავთ!

ვალერიან ლომიძეს, სულით ხორცამდე ბორჯომზე და ბორჯომელებზე შეყვარებულ პიროვნებას, ვულოცავ დაბადების დღეს.

აქტიურ მოქალაქეს, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს 80 წელი შეუსრულდა.

ბორჯომის გაზეთს ვინც კითხულობს, ის მისვდება, რომ გაზეთი ემსახურება ეროვნულ საქმეს და ბორჯომელებს.

დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ მოხუცებულობის წლებს ვუსურვებ შრომაში გამობრძმედილ, ღვაწლმოსილ რედაქტორს.

თეიმურ მელიქიძე,

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე სოფლის მეურნეობის საკითხებში, შეიარაღებული ძალების სამხედრო ვეტერანი.

ბორჯომის კოლორიტს, საკუთარი საქმის პროფესიონალ და ერთგულ პიროვნებას, უანგარო მეგობარსა და თანამოაზრეს, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორს **ვალერიან ლომიძეს** ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელესა და უფლის წყალობას.

ნოდარ ნოხაძე, ზაურ შერგელაშვილი, ვაჟა რევაზიშვილი, ვალერი გოგოლაძე.

გაზეთ „ბორჯომის“ გადამრჩენელსა და მის მამამთავარს, მთელი ბორჯომის ხეობელთა ერთ-ერთ უსაყვარლეს ადამიანსა და მეგობარს, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს ბატონ **ვალერიან ლომიძეს** ვულოცავთ დაბადების 80 წლისთავს. ვუსურვებთ კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახუროს საყვარელ ოჯახსა და გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველებს.

ალგი ლომიძე, აკაკი სარალიძე, გიორგი ლაზარაშვილი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

მას ენდობიან, მისი სჯერათ, მისი იმედი აქვთ, ასეთია გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი **ვალერიან ლომიძე,** რომელიც დღეს იუბილარია. გაზეთი ფეხზე რომ დგას, მისი დამსახურებაა.

მთელი სულითა და გულით ვულოცავ დაბადების დღეს. დიდხანს იხაროს! და იდღეგრძელოს! კიდევ მრავალჯერ გაელიოს საიუბილეო თარიღები.

ნათელა იჩქიტიძე



ჩვენი ოჯახის ბურჯს, საყვარელ მამას **ომარ (პირტილო) კიკაძეს** ვულოცავთ 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს ძვირფას ოჯახთან და შვილიშვილებთან ერთად.

მეუღლე მანანა, შვილები მაღონა, მაია.

იუმორით ნათქვამი

ეთრის ძმას ემცროსისაგან

გაზეთ „ბორჯომის“ ყველაზე დიდ ჭირისუფალს, მაჯადაუღლელ კაცს, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს ბატონ **ვალერიან ლომიძეს,** ვულოცავ 80 წლის იუბილეს და ვუსურვებ, პირველ რიგში ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა გაზეთმა „ბორჯომმაც“ იარსებოს და არ დაიხუროს. ის ხომ გაზეთს საკუთარი შვილივით პატრონობს და უვლის. მით უმეტეს, დღეს, როცა მოსახლეობის დიდ ნაწილს წიგნი და გაზეთი არაფრად მიაჩნია და ათასნაირი უგემოვნო სერიალები და ინტერნეტგადაცემები ურჩევნია. ეს საქციელი ქართველ ერს სიკეთეს არ მოუტანს. უწიგნური კაცი ყოველთვის იყო და არის საშიში ერისთვის, ბატონი ვალერიანისნაირი კაცები ყოველთვის ალამაზებდნენ და ალამაზებენ როგორ საკუთარ ოჯახებს, ქალაქებს და, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოს. და ბოლოს, მინდა ჩემი პატარა ლექსით, იუმორით და პირადი სიმპათიით კიდევ ერთხელ მივულოცო იუბილე.

ჩემო მიმინო და ჩემო ვალერიან,
ვატყობ, რომ აზრები ამერია.
აბა, ეს ერთი ფურცელი რას დაიტევს,
შენს კაცობაზე რაც კი რამ საწერია.
ვეცდები, ცოტა რამ დავაკლო
და უფრო მეტი დავამატო,
სულით ძლიერო, გულით ბავჯაღლო,
ძმობაში ერთგულო და სანდო კაცო.
ოთხმოცი წელი გალიე
რუდუნებით და შრომითა,
მიხარია, რომ არ გზედავ
ხელში კაკუჩა ჯოხითა.
ლომიძეების თავკაცსა
ვერას დაგაკლებს წლებიო,
ოდნავაც არ დაიდარდო,
თუ გაგითეთრდა თმებიო.
ჭაღარა სიმპათიაა
და არა დასასრულიო.
მთავარი არის, რომ მკერდში
დიდხანს გიძგერდეს გულიო.
მთავარი ის კი არ არის,
აქ ვინ რას მოიძოვებსო,
მთავარი არის, რომ წავა,
აქ რა სიკეთეს ტოვებსო,
და თანაც ისე იცხოვრო,
როგორც შეშვენის ქართველსა,
პირჯვარს იწერდე ხატის წინ
'და ღმერთს უნთებდე სანთელსა.
თავაწეული დადიხარ
ამ ჩვენს პატარა ქალაქში
და ყველას გვერდში უდგეხარ,
ზეიმში, გაჭირვებაში.
თავისუფალი მედია
დღეს ხომ დიდ გასაჭირშია,
თუმც ამის შიშით კალმისთვის
ჯერ ხელი არ გაგიშვია.
ამიტომ გამოგარჩიეს
ბევრჯერ რჩეულთა შორისა,
რადგან კაცი ხარ ერთგული
ყოველთვის მეგობრობისა.
დამსახურებულ ჟურნალისტს
„ოქროს კალამიც“ გაჩუქეს,
თუმცა მავანნი ამბობენ,
თურმე დოლარებს აყუჩებ.
აბა, ლარი დღეს ვის უნდა,
იქცევა შეშლილივითა,
ხან ცოცხალია, ხან მკვდარი
ვლადიმერ ლენინივითა.
არც სიგელები გაკლია,
მგონი ვერ ითვლი მედლებსა,
შენდენი ჯილდო არ ქონდა
ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევსა.
შენ რომ ღვაწლი გაქვს ბორჯომზე,
სადა აქვს ჩაიკოვსკისა,
მე მის ადგილზე დავდგამდი
შენს ძეგლს უფრო დიდ ზომისას.
თუმცა ძეგლს შენ ვინ დაგიდგამს
კაცსა, უბრალოს, მშრომელსა,
როცა ჯერ ძეგლი არ უდგას
ბორჯომში შალვა თორელსა.
მითხარ, სხვა რაღა გისურვო,
მხოლოდ სიმართლე წერეო!
მე ერთ ლექსს კიდევ მოგიძღვნი,
მხოლოდ ასი წლის მერეო!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით შენი უმცროსი ძმა და მეგობარი **ჯემალ ბიბილური.**

წიგნის თარო

ნაშრომი ეძღვნება მირიანს და ვახტანგ გორგასალს

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ყვიბისში დაბადებული და აღზრდილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ გოილაძე** ათეული წელია წარმატებით იკვლევს ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის მრავალმხრივ საკითხებს. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ბატონ ვახტანგს საქმიანი ურთიერთობა აქვს გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციასთან და თითქმის ყველა გამოცემულ წიგნს საჩუქრად უგზავნის რედაქციას. მისი არაერთი გამოკვლევა დაბეჭდილია ჩვენს გაზეთში. ბატონი ვახტანგი 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 მონოგრაფიის და ბროშურის, ათეულობით საგაზეთო და საენციკლოპედიო წერილის ავტორია. წარმატებით იკვლევს ადრეფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ისტორიას. საქართველოს ურთიერთობას ბიზანტიასთან, სასანიანთა ირანთან, ძველ ჰუნურ-თურქულ სამყაროსა და ჩრდილო კავკასიაში არსებულ ოსური გაერთიანებების საკითხებს. 1967-1976 წლებში იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქტორი. 1976 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

სულ ახლახანს ბატონმა ვახტანგმა გამოსცა მეტად საინტერესო ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა მირიან მ,ეფის და ვახტანგ გორგასალის როლს და დიდ დამსახურებას ქართველი ერის წინაშე.

წიგნში საინტერესოდაა განხილული საქართველოს ადრეფეოდალური ისტორიის საკითხები. ავტორმა ამ მეტად საინტერესო პროვნებებზე ჯერ კიდევ 1982-1983 წლებში გამოაქვეყნა გამოკვლევები. პირველ გამოკვლევაში უარყოფილია „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის ჩანაწერები მირიან მეფის ირანელი უფლისწულის შესახებ, ხოლო მეორეში დადგენილია ვახტანგ გორგასალის ზეობის წლები.

ამჯერად ავტორი ახალ ფაქტებზე დაყრდნობით ნაშრომში ხაზგასმით მიანიშნებს, რომ მირიან მეფეს უნდა ჩამოცილდეს ირანულ უფლისწულობაზე მინიშნება, ხოლო ვახტანგ გორგასალის ზეობის ახალი დათარიღება აისახოს საქართველოს ისტორიის სალექციო კურსებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ამ შესანიშნავი ნაშრომის რედაქტორები არიან: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი** და ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **გიორგი ჭეიშვილი.**

წიგნი დაიბეჭდა მანგლისსა და თეთრწყაროს მიტროპოლიტის, პროფესორ **ანანია ჯაფარიძის** ლოცვა-კურთხევით.

ვახტანგ გორგასალის სურათის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი **ალექსანდრე ციხელაშვილი.**

ვალერიან ლომიძე

კონსტანტინე ებრალიძის გახსენება

კიდევ ერთხელ და უკვე ოცდამერვედ უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. 55 წლის გახდებოდი 4 აგვისტოს. ვერ განკურნა დრომ ის იარა, რასაც უშენობა და მონატრება ჰქვია. მხოლოდ შენს მიერ დატოვებული სიკეთე და სიყვარული გვაიმედებს, რომ შენი სული უფალს აბარია და რომ სასუფეველს ჩვენი დანთებული სანთელი გინათებს და საფლავს ყვავილები გიმშვენებს.

სამწუხაროა, რომ სხვა არაფერი შეგვიძლია შენი ხსოვნისა და წრფელი სიყვარულის გარდა.

საუკუნო ცხონება მოგმადლოს უფალმა, ჩვენო უზომოდ მონატრებულო კოტე!

ოჯახი.

იქიდან შელავათიან ფასში იყიდება სალარო-აპარატი. მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომრებზე 22-21-51; 593 283 289.

ზაური.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია იუწყება, რომ 54 წლის ასაკში გარდაიცვალა სოფელ ყვიბისის ადმინისტრაციული ერთეულის მერიის წარმომადგენელი – სპეციალისტი

ბელა ბარბაქაძე

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს.

„ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება

ნუგზარ ჩიქვილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ბორჯომის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „ბორჯომის“ დამტარებელი

ნუგზარ ჩიქვილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

რედაქტორის მაგიერ: შუანგი ჯანგირაშვილი

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „ააარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru